



წაწერემ ასური

მარხმისათჳს*



მანო, არა ვითარმცა ვგუემენ კორც-
 ნი ეგე თქუენნი მახვლითა, არამედ
 გაწუეე თქუენ, საყუარელნო, რადთა
 გახარო სულთა თქუენტა მოძღურე-
 ბითა ქრისტჳსითა. ჴიწრაფით ჩუენ, ძმანო,
 რამეთუ საჭმელმან ჩუენმან განასუქნის კორცნი
 და ღვწომან ფეროვან ქმნის ფერი პირისად. ტმან
 უმეტჳს გესლოვან ქმნის გონებად, რადთა არა
 განწმიდნეს, და შეაძთვის სული იგი შიშშილითა
 გულის თქუემისადთა.

თა ვითარ სახედ მოგუეახლნიან ჩუენ მარხ-
 ვანი, მოგუეცნიან ჩუენ გონებანი ანგელოზთანი,
 რამეთუ ამით მიზეზითა ვჰმსახურებდით უფალსა
 ქუეყანასა ზედა, ვითარცა-იგი ცათა შინა. საჭ-
 მელმან და სასუმელმან დაამდაბლიან კაცი და
 მიაწიან სახესა პირუტყუთასა, რომელნი დაკ-
 ლებულ არიან სასოებისაგან აღდგომისადსა.

მწყით თქუენცა, საყუარელნო, რამეთუ სა-
 სოებად პირუტყუთად მუცელი მათი არს და აღ-
 სასრული მათი — დღჳ სიკუდილისა მათისად. თა
 ყოვლისათჳს, რომელი მსგავს არს მათა, ესრე
 თქუა პავლე მოციქულმან, ვითარმედ: «რომელთ-
 ად ღმერთ მუცელი მათი არს და დიდებად —
 სირცხული მათი» (ფილპ. 3,19). ღლო ჩუენ
 არა ესრჳთ ვისწავეთ ქრისტჳსგან, არამედ ეს-
 რჳთ გურჳუა ჩუენ, ვითარმედ: «ნეტარ იყვენენ,
 რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლი-
 სათჳს, რამეთუ იგინი განძღენ» (მთ. 5,6).

მკუეთუმცა არა გუაუწყვა ჩუენ საუკუნისა
 ცეცხლისათჳს, ვინ უწყის, ვჰგონებდითმცა, ვი-
 თარმედ ყვიან მათ, რომელთა არა დაიდვიან უღე-
 ლი მარხვისად სიტყჳსა მისებრ, ვითარცა წერ-
 ილ არს, ვითარმედ: «ესუათ და ვჰამოთ, რამეთუ
 ზვალე სიკუდილდ ვართ» (ეს. 22,13; 1 კორ. 15,32).
 ჴითარმედ არცა ამას სოფელსა სარგებელ არს
 ნაყროვანებად და სიმთრავლჳს, რომელთა მოიპო-
 ვიან იგი, რამეთუ ნაყროვანებამან შეამძიმნის
 კორცნი და აურევბნ ასოთა, აჭირებნ სტომაქსა
 და აღაგზნის აღძრვანი გონებათანი.

თა რამეთუ მრავალ არიან საცთურნი მთრავლ-

თანი, ვითარცა გარდასცითის კაცი ღვწითა, უფ-
 როდს პირუტყჳსა უგუნურ იქმნის, რამეთუ «პი-
 რუტყუმან იცნის მომგებელი თჳსი» (ეს. 1,5),
 ხოლო მთრავალმან არა იცნის მეზობელი თჳსი.

წუ უკუე რომელი-მე ვნებად არს, რომელი არა
 შეაბს სიმთრავალესა? თავი აღმვის შეტევებითა
 ღვწისადთა, და სლვანი ფერტანი შეურღვნის,
 და აცთუნებნ სიტყუათა პირისა მისისათა, და
 უქცევენ წრფელად ზედვასა გუგათასა, და შთა-
 გდის მთრავალი მღვმესა დღისი, და წარმოუდგ-
 ინნის სიზმრად ღამე საყუარელნი თჳსნი, და
 დაჰცნის გონებანი სიმტკიცისაგან, მოუღის
 სირცხული მორცხუნეთაგან, და განეფინის სუ-
 ლთა ზედა ვითარცა ნისლი საცთურებად, და
 ჰგავნ იგი განმრყუნელსა მას დევსა. თა იქმან
 მთრავალნი, რომელი მათ არა უნებნ.

ღლო სიმტკიცჳს მარხვათად განმტკიცებულ
 არს მათა მიმართ, რომელთა მოიგნეს იგი, რამე-
 თუ წარჰმართის სტუანგად სახიერთა თუალთად,
 და აღვრ-ასხნის წამ-წამ სიდაშნისათჳს, და აღ-
 უხუნის ყურნი მოძღურებასა ქრისტჳსსა, და გა-
 ნწმიდის ენადცა საღზინებელი ცოდვათად, და
 განაღვძის გონებად ლოცვისათჳს, და ასწავის
 სულთა სიყუარულისათჳს ღმრთისადსა, კვლთა
 ასწავის გლაზაკთა ღუწოლად, და ფერტთა ას-
 წავის სლვად და ხილვად სნეულთად.

თა რამეთუ დაღათუ კაცი არნ, ხოლო შრომითა
 მით ანგელოზ იქმნის, რამეთუ კორცნი ასხენედ
 ძესა მას ადამისსა, ხოლო ხატი სულიერთად
 შთაუცუამს მათ, რამეთუ ესე ყოველი შესძინიან
 მარხვათა, რომელთა მოიპოვიან იგი, და ესემღე-
 ვანითა კეთილითა ნაყოფითა აღიგნნიან საუნჯენი
 სულთა მათთანი.

ნეშმარიტად მმარხველთათჳს ვიტყჳ, რომელ-
 ნი იმარხვენ პურისაგან და წყლისა კორცთა
 განკაფისათჳს და დაყენებულ არიან უნასისაგან
 ბოროტისა სულთა სარგებელისათჳს. ღლო არ-
 იან პურიანიცა, რომელნი იმარხვენ პურისათჳს-
 ცა და ღვწისა და მთრავალ არიან შურითა გონე-
 ბანი მათნი და სილაღითა. თა არიან რომელნიმე,

* სინური მრავალთაგი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 112-114.

არა ჭამედ ჭამადთა, ხოლო შემჭამენ კბილითა ანგაჰრებისა მათისადთა ობოლთა და ქურიფთა. ოა რომელნი ესემღევან არიედ, ისმინედ მათ, რამეთუ არა სასყიდელი ხოლო მარხვისად არა მიიღონ მათ, არამედ თანა-მდებცა არიან ივინი დასასრულსა ჯოჯოხეთისასა, რამეთუ მარხვანი რომელ არიან შესაძინელნი კეთილთანი, მის გამო აღიკიდიან ტვრთი ბოროტი. **ხოლო გლოცავ თქუენ, საყუარელნი, ვიმარხოთ საჭმლისაგან, რადთა არა შთაჰდენ მუცელთა ჩუენთა საუნებელად, და ვეკრძალნეთ ბოროტისაგანცა, რადთა არა გამოჰდენ გულისა ჩუენისაგან მრავალთა საუნებელნი.**

წიმარხვიდეთ ფარულად და ცხადად მისა, რომელი-იგი ხედავს გარეშესა ხატსა ჩუენსა და უწყის შინაგანი ზრახვად ჩუენი, და ყავნ ქველის მოქმედმან უფალმან წყალობითა თვსითა, ვითარცა-იგი განისუენა მარხვასა შინა მართალთასა და წმიდათა მისთასა, ვგრე განისუენენ თქუენსა მარხვასა და ლოცვასა და მოგეცინ სასყიდელი სრული წმიდათა და უბიწოთა მარხვათა თქუენთათვს, რაჟამს მოვიდეს დიდებთა თვსითა და განუყოფდეს მარჯუენითა თვსითა. ოა აღმოთქუათ ერთობით ჩუენ და თქუენ: დიდებად მამისად და ძისად და წმიდისა სულისად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

ძარხვანი განცხადებულნი ფარულითა მარხვითა აღესრულებიან, დაყენებაჲ ჭამადთა დაყენებითა კორცთადთა აღესრულების, რამეთუ არა ერთსა ასოსა შეუმოსიეს ყოველი კორცი, არცა ერთითა ქვითა აღეშენის ყოველი ნაშენები. **ხოლო რომელთა-იგი კეთილად იმარხიან, ყოვლისაგან ბოროტისა შემოკლდიან, კეთილსა მიეახლნიან; და რომელნი ბოროტსა განეშორნიან, ღმერთსა მიეახლნიან, ეზიარნიან და მშველობით ამადლდიან.**

ძოსე, რომელმან კეთილად იმარხა, აეროვან იქმნა პირი მისი და გარდამოართუა შჯული ერსა თვსსა; ელია შემდგომად მარხვისა თვსისა იხილა დიდებად ღმრთისად და აცხონა მკუდარი იგი და აღიტაცა ეტლითა ცეცხლისადთა მადლად; და დანიელცა და რომელთა იმარხეს, განერნეს ცეცხლისაგან დაწუვისა და ლომთაგან და ღირს იქმნეს, რამეთუ გამოეცხადა მათ ღმერთი.

ძარხვანი სარწმუნოებით დაშრეტენ აღსა ცეცხლისასა და დაუყვენეს პირნი ლომთანი; მარხვანი სიქადულ არიან წინაწარმეტყუელთა და საყუარელ — მოციქულთა და ზღუდე — წმიდათა; მარხვანი საჭურველ არიან კეთილთა და ფარ არიან ბოროტთა.

